ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N16

2023 წლის 31 მარტი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირი N279-ში, ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე განთავსებული N6-55,0 კვ.მ ფართის შენობა-ნაგებობის (ს/კ N20.42.01.258) საწყისი წლიური საიჯარო საფასური განისაზღვროს 1400 (ათას ოთხასი) ლარის ოდენობით;
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ლ.ხახუტაიშვილი);
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. მჭედლიშვილი